ანგარიში

საქართველოს პარლამენტის წევრების - გიორგი ხოჯევანიშვილის, ანა ბუჩუკურის, ალექსადრე მოწერელიას და მიხეილ დაუშვილის ბელგიაში, ქ. ბრიუსელში ვიზიტის შესახებ

15-21 მაისი, 2022 წელი

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროპარლამენტარებთან: ვიოლა ფონ კრამონთან, მარინა კალიურანდთან, სვენ მიქსერთან, ანდრიუს კუბილიუსთან, ფრანცის ფიცჯერალდთან და მარკეტა გრეგოროვასთან; ასევე, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის, რეგიონული თანამშრომლობისა და ეუთო-ს დირექტორატის ხელმძღვანელ - ლუკ დევინთან.

შეხვედრების მთავარი თემები იყო საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აუცილებლობა; საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება; საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას შორის კოორდინირებული მუშაობის გაძლიერება. პარლამეტარებმა საერთაშორისო პარტნიორებს ასევე გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი საპარლამენტო საქმიანობის, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.